

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 9

ქალაქი ბათუმი

22 თებერვალი, 2019 წელი (17 : 30 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. გურამ ფუტყარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
2. თემურ კაკაბაძე - „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
3. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება „ბათუმის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი.
4. მაცვალა კვირიკაძე - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტთა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. კახაბერ გუჩმაიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
6. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
7. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის „მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმი-სა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი;
8. თამაზ თურმანიძე - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია“-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 8, არ ესწრებოდა 3.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ და ესწრებოდნენ :

- ედნარ მამულაიშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის - ბაგრატიონი 2 სერვის - ცენტრის მენეჯერი, ირაკლი მანჯგალაძე - ბაგრატიონ 1 სერვის ცენტრის მენეჯერი, ხატია ტაკიძე - სერვისცენტრის სპეციალისტი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „მეჯლისი“, გულნაზ სურმანიძე - ასოციაცია „შავი ზღვის ეკოაკადემია“.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმაიძე.

სხდომას შემდგომი გაშუქების მიზნით ესწრებოდა ტელევიზია.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 9 (22 თებერვალი - 2019 წ/17: 30 სთ)

საკითხი 1. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპული - იოსებ (სოსო) შერვაშიძის (ქ. ბათუმის მერიის სერვის - ცენტრის მენეჯერი) სახელის მინიჭების თაობაზე წინადადების განხილვა.

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

საკითხი 2. ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის საკითხის მოგვარების კუთხით გატარებული ღონისძიებების მონიტორინგი, მრჩეველთა საბჭოს წევრების გარე მოვაჭრეთა ადგილმონაცვლეობის ტერიტორიაზე (ავტო-სადგური) გასვლისა და არსებული სიტუაციის შეფასების საკითხის განხილვა.

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : ნინო ინაიშვილი (5 წთ)

საკითხი 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კომისიებში მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რაზედაც საბჭოს წევრმა და საკითხის ინიციატორმა მაყვალა კვირიკაძემ მიმართა საბჭოს დღის წესრიგის პირველი საკითხზე მიეთითებინათ სამახსოვრო საინფორმაციო დაფის განთავსება ნაცვლად სკვერზე სახელის მინიჭებისა და საკითხი ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაერად - „ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპული - იოსებ (სოსო) შერვაშიძის (ქ. ბათუმის მერიის სერვის - ცენტრის მენეჯერი) პატივსაცემად სამახსოვრო საინფორმაციო დაფის განთავსების წინადადების განხილვა“.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაღუპული - იოსებ (სოსო) შერვაშიძის (ქ. ბათუმის მერიის სერვის - ცენტრის მენეჯერი) პატივსაცემად სამახსოვრო საინფორმაციო დაფის განთავსების წინადადების განხილვა.

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

კახაბერ გუჩმაინიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ სოსო შერვაშიძის სხსოვნისადმი.

საკითხთან დაკავშირებით მცირე მოხსენება გააკეთა მაყვალა კვირიკაძემ - რომელმაც ისაუბრა სოსო შერვაშიძის პიროვნებაზე, მის განვლილ ცხოვრებაზე, დადებით მხარეებზე და სამსახურისადმი უანგარო, თავდადებულ დამოკიდებულებაზე.

აზრი გამოთქვას საბჭოს სხვა წევრებმაც, ასევე საუბარში ჩაერთნენ სხდომაზე დამსწრე პირებიც მუნიციპალიტეტის მერიიდან რომლებმაც დადებითად ისაუბრეს სოსო შერვაშიძის განვლილ ცხოვრებაზე და ხაზი გაუსვეს მის დამსახურებებს ქალაქის წინაშე.

საბჭომ გადაწყვიტა : „ ეთხოვოს ქ . ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს - იოსებ (სოსო) შერვაშიძის პატივსაცემად ბაგრატიონი 2 - ის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში განათავსოს სამახსოვრო დაფა შესაბამისი ინფორმაციის მითითებით.”

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმაინიძეს.

საკითხი 2. *ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის საკითხის მოგვარების კუთხით გატარებული ღონისძიებების მონიტორინგი, მრჩეველთა საბჭოს წევრების გარე მოვაჭრეთა ადგილმონაცვლეობის ტერიტორიაზე (ავტო-სადგური) გასვლისა და არსებული სიტუაციის შეფასების საკითხის განხილვა.*

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : ნინო ინაიშვილი (5 წთ)

ნინო ინაიშვილმა - წარმოადგინა მოკლე ინფორმაცია და ისაუბრა საბჭოს მიერ განხორციელებულ აქტივობაზე რამაც ხელი შეუწყო გარე ვაჭრობის საკითხის მოგვარებას ქ.ბათუმში.

ნინო ინაიშვილმა - განაცხადა, რომ საბჭოს ერთგვარი ვალდებულებაა მონიტორინგი გაუწიოს ადგილმონაცვლეობის ტერიტორიაზე გარე მოვაჭრეების ადაპტაციის საკითხს, რისთვისაც აუცილებელი იქნება გარკვეული პერიოდის შემდეგ ადგილზე გასვლა, გასაუბრება და მათი მდგომარეობის შესწავლა.

მსჯელობაში აქტიურად ჩაერთნენ საბჭოს სხვა წევრებიც - ნინო ინაიშვილმა და ლაშა ნაკაშიძემ აღნიშნეს, რომ იდენტურ (და არა მხოლოდ) სიტუაციაში პრობლემების ეფექტური მოგვარების მიზნით მიზანშეწონილი იქნება თუ მუნიციპალიტეტს ჩატარებული ექნება შესაბამისი სოციოლოგიური კვლევა, რაც საშუალებას მისცემს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო მეტი ასპექტის გათვალისწინების, გაანალიზების კუთხით.

ლაშა ნაკაშიძემ - აღნიშნა, რომ ზოგადად მუნიციპალიტეტისთვის სოციოლოგიური კვლევების ჩატარება სხვადასხვა ფოკუსჯგუფებთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ფონდებისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ჩართულობაც სავსებით შესაძლებელია, სასურველი იქნება აქტივობა საგრანტო განაცხადის მომზადების კუთხით.

კახაბერ გუჩმაინიძემ - აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება ლაშა ნაკაშიძის მოსაზრებას და აღნიშნული კუთხით საბჭოს ჩართულობაზეც ისაუბრა.

აზრი გამოთქვა - მაყვალა კვირიკაძემ და აღნიშნა, რომ ის წლებია ბიზნეს სექტორში საქმიანობს, ამიტომაც კარგად იცნობს გარევაჭრობის პრობლემატიკას, მან აღნიშნა, რომ

უპრიანი იქნება თუ საბჭო მონიტორინგს გარკვეული საადაპტაციო პერიოდის გასვლის შემდგომ განახორციელებს.

თამაზ თურმანიძემ - გამოთქვა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური პერსონალის ჩართულობითაც მისაღები იქნებოდა სოციოლოგიური კვლევის ჩატარება.

ზურაბ ჩიხლაძემ - ხაზი გაუსვა მენეჯმენტის და კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ აუცილებელია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას სკურპულოზური, მეცნიერული კვლევების ჩატარება რათა არიდებული იქნას შემდგომი გამწვავებები, რაზედაც საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს მსჯელობის შემდგომ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ნინო ინაიშვილის მიერ ინიცირებულ საკითხს.

გადაწყდა მიმდინარე წლის 15 – 20 მარტს შორის პერიოდში საბჭოს წევრებმა მოახდინონ ერთმანეთში კოორდინაცია და ერთობლივად გავიდნენ გარემოვაჭრეთა ადგილმონაცვლეობის ტერიტორიაზე მათი მდგომარეობის შესწავლისა და ზოგადი მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ასევე ეთხოვოს - ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მონიტორინგის პერიოდში საბჭოს მოამაგროს შესაბამისი სპეციალისტები.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

ორგანიზაციული საკითხის უზრუნველყოფა ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 3. *ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კომისიებში მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჩართულობის უზრუნველყოფა.*

საკითხის ინიციატორი / მომხსენებელი : მაყვალა კვირიკაძე (5 წთ)

მაყვალა კვირიკაძემ - მიმართა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ მაღალა საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ასევე ჩართულობის და სანდოობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველი იქნება თუ მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სხვადასხვა კომისიებისა და საბჭოების მუშაობაში აქტიურად ჩაერთვებიან საბჭოს წევრებიც.

კახაბერ გუჩმანიძემ მოიწონა მაყვალა კვირიკაძის ინიციატივა და განაცხადა, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს საბჭოს მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის და სანდოობის ზრდას, ასევე განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული საშუალების მისცემს საბჭოს სიღრმისეულად იყოს ინფორმირებული მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობებზე.

წინადადება მოიწონეს - თამაზ თურმანიძემ და გურამ ფუტკარაძემ და აღნიშნეს, რომ კარგი იქნება თუ საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის პროფესიონალები თავისი ჩართულობით დადებითად წაადგებიან მუნიციპალიტეტის მუშაობას და თავიანთ გამოცდილებას ამ კუთხითაც მოახმარენ ქალაქს.

მაყვალა კვირიკაძემ მიმართა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ეტაპობრივად უნდა ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს კომისიებსა და საბჭოებში მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ სიამოვნებით იხილავდა ზურაბ ჩიხლაძეს მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა გადაჭრის კუთხით, ან პროგრამული ნაწილის უზრუნველყოფის კუთხით შექმნილ კომისიაში, ასევე გურამ ფუტკარაძეს, როგორც ხელოვნების დამსახურე

ბულ მოღვაწეს ჯილდების გაცემის ან სხვა კულტურულ სფეროსთან დაკავშირებულ კომისიაში, ნინო ინაიშვილს განათლების საკითხთა კომისიაში და ასე შემდეგ.

მაყვალა კვირიკაძემ აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიაწვდის საბჭოს ამ კუთხით მოსაზრებებსა და ინფორმაციებს, ხოლო მოცემულ ეტაპზე მას აქვს შემდეგი წინადადება -

ეთხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს - მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ასევე მეტი გამჭვირვალობისა და სამოქალაქო სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით - 1. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს შემადგენლობაში - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მხრიდან განიხილოს - კახაბერ გუჩმაიძის (საბჭოს თავმჯდომარე) შეყვანის საკითხი. 2. საპატიო წოდების მინიჭების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში - გურამ ფუტკარაძის 3. საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში - თამაზ თურმანიძის 4. განათლების, კულტურის და სტუდენტებზე სტიპენდიების გაცემის შესაბამის კომისიის შემადგენლობაში - ნინო ინაიშვილის - შეყვანის საკითხი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შესაბამისი წერილების მომზადება და ეტაპობრივად მიწოდება ეთხოვა კახაბერ გუჩმაიძეს.

კახაბერ გუჩმაიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და მერიის თანამშრომლებს, რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
კახაბერ გუჩმაიძე